სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/20

ქ. თბილისი

14 თებერვალი 2018

სტუ-ის 2017 წლის 10 ნოემბრის №2627 დადგენილებაში – სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. ქუთათელაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილება სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების შესახებ წესის ინსტრუქციაში და აისახოს მასში განათლების სფეროს მიმართულება – საჯარო მმართველობა, ქვესფეროს მიმართულება – საჯარო მმართველობა;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**